

ქვეყნის პატრიარქი

იუმორისტ.
ქურონალი

№ 31

F 644



ინტელექტუალური სიბრძნე თალავის გულგარში.

თფილისი, 31 ივლისი 1916 წ.


სიხა და მონათა
განვითარება.

ერთის შეხედვით იფიქრებს კაცი: რა კავშირი უნდა იყოს სიციხესა და მოღის განვითარება-

თა შორისო, და მართლაც ყველა ვერ დაინახავს ამ კავშირს. ალბათ ამ ერთგვარი სიბრძნეით და ქარ-

თველი ინტელექტუალის გერგილობით აიხსნება ის მიუტევებელი გულგრილობა, რომლითაც აღნიშნულ საკითხს ჩვენ, ყველაფერში უაღლოო ქართველები ვეპყრობით.

რაზე გინდათ, რომ ქართულ გაზეთებში არა სწერდენ. უბრალო არჩევებზე, პარტიულ-განხე-



თქილებაზე, შიშობზე, კოპერაციასა და ეკლესიაზე, შვე ქვასა და ცხელ ნაცარზე, მაგრამ ისეთ კარდინალურ საკითხზე, როგორც არის „სიციხე და მოღათა გენიარება“ ჯერ არავის კრიტიკა არ დაუძრავს.

ჩვენი მეტი დუმილი აღარ შეგვიძლია, გაჩუმება სამშობლოს დღალტი იქნება. მაშ გზა მშვიდობისა!

ყველა ასტრონომები ერთხმად ამტკიცებენ და ძველს კარაბადინებშიაც სწერია, რომ მისის თვიდან მოწყებული, ვიდრე ავვისტოს ბოლომდე მხეს მეტი ძალა აქვს და სიციხეს აყენებს. შენიშნულია ისიც, რომ ამ ხნის განმავლობაში დილით უფრო ცხელა, ვიდრე ღამით და ჩვენის აზრით ესეც მზის გავლენას უნდა მიეწეროს.

„შე როს ციდან იყურება
სხივებს ის არ იშურება,
ხალხნი ვოფლით იყურება,
და საშინლათ იწყურება“.

სწერდა ჩვენი სათაყვანებელი მგოსანი სოლომონ ზურგიელიძე ეურნალ „სეიტრის“ მე 5 ნომერში.

ამ პატარა ტაბში მთელი ფილოსოფია ჩანერგილი მგოსნის მადლიანი ხელით. სიტყვი მართლაც ოფლით „ვიყურებით“ და საშინელი წყურვილიც გვახრჩობს.

„და სიციხისა მოსაკლავათ
თფილსა ვიძრობთ სამოსლებსა
ხან პაღებში ვწვევართ ხოლმე
ხან პაღლებს და ხან ბოსლებსა“.

განაგრძობს იმე ლექსში სიამაყე ქართული პოეზისა და მით ფარდას ხდის ჩვენი მუსიკის საგანს.

იდეალი ტანთ-სამოსისა, რომლის მიღწევად მიიღტვის თანამედროვე ქალობრიობა, გამოიხატება ამ სიტყვებით:

— ტანთ გემოსოს და არა სჩანდეს იგი!

რასაკვირელია ჩვენ სახეში გვაქვს ტანთ საფარავი და მართლაც დღაცთა მოდგმა და მოღათა ავტორნი ყოველი: სწრაფთ მისწრაფიან იმ მხრივ, რომ მათი სამოსი არა მჭარადღეს გარშე თვალთვან რაიცა იყოს ქვეშე მისთა.

ზამთრობით ეგ შესაძლებელი იქნებოდა, თუკი მოგებრებებით მეტნიერებს ლეშულობის ფართლელობათ გამოყენება, მაგრამ ეს ჯერ მიღწეული არ არის. სამაგიეროთ ზაფხულობით ქაღებს შეუძლიათ სრულიად განიტრეტლონ პერიფერიები, ანუ განაპირა უბნები სხეულისა და ზაზარზე გაიტანი ისინი.

„შემაჯის მთარახის“ № 30-ში ჩვენი გვერდზე მოთავსებული იყო კარიკატურა „სიციხის გიასა“. რომელიც ჩინებულ ილიუსტრაციას წარმოადგენს ამ წერილისათვის. მაგრამ ეს ხარისხი სამოსთა განძარცვისა ჯერ მხოლოდ შინაობაში მოხდა, მას არ მოუპოვებია მოქალაქეობრივი უფლება. საჯარო ადგილებზე კი მათ მხოლოდ წვივები, (ვიდრე მუხლის თვალამდე) მკლავები (ვიდრე კიშკიმას დასაწყისამდე და მკერდი (ვიდრე „კატის უბნამდე“) აქვთ ტოტველი.

რღა თქმა უნდა, რაც მეტი სიციხე იქნება, დაფარული სივრცე იკლებს და მოვა ისეთი ბედნიერი დრო, როცა საქარისი იქნები მხოლოდ ერთი ვიზის ფოთოლი, თუკი იმ დრომდე მიღწეულ მეტი ძილა არ მოიკრება, შინაშინი უფრო არ გაძვირდა და ვაზს საქმია ფოთოლი შერჩა.



სახუმარო რვეულიდან.

1.

მგოსანი რახუნაშვილი.

ჩვენში ზოგიერთები აკვანში იწყებენ ლექსების წერას. პარასის გავლენა ისე ძლიერია, რომ ნიკიერ ბავშვებს სწრაფად მოანახვიანებს „ბლუს“-თვის რითმას, მავალითად „ბლუს“, „ტალუს“, და ერთ მშვენიერ დღეს, პატარაც ლექსით ალაპარაკდება. მაგრამ ეს სრულებით არ ითქმის მგოსან რახუნაშვილზე, რომელიც დღეს საქართველოში ცნობილ მგოსანთა მიჩნეული. დღი ხნის განმავლობაში ეწეოდა მას პარასიდან „კამანდიროვკაში“ წარსული მუზა, მაგრამ ვერ იქნა და ვერ დააკვსინა ლექსი, სანამ ოცდახუთმეტე წლის არ გახდა. მაგრამ არც იმას ვიტყვით, რომ მუხის ცდას უბრალოთ ჩაველოს და ლექსების წერამდე რახუნაშვილს კალამი არ ეფხაქუნებოდა.

იგრძეო თუ არა მან მუხის პირველი შეგება, მაშინვე მოჰკიდა საწერ-კალამს ხელი და ქაღალდიც შესაფერისად დასვარა. გავიდა კიდევ ცოტა ხანი და

*) ეგ სახელი „სისფერ ყანწებიდან“ არის ნაწარმოები.

რახუნაშვილის კორესპონდენტებიც დაიბეჭდა გზებით. ამ დღიდან მოკიდებული რახუნაშვილი უერთგულესი თანამშრომელი გახდა პრესისა. რომელი სოფელი გინდით, რომ მის არ ანუ წეროს, საიდან არ მოუთავსებია მის კორესპონდენტთა უდიდესი ღირსება რახუნაშვილის კორესპონდენტებისა ის იყო, რომ ყველა მათგანი ერთმანეთს ჰგავდა, ერთ გეგმაზე იყო გამოქობილი: სოფლის გეოგრაფიული მდებარეობა, გლეხების სიღარიბე, დამის ფულზე გამწარებული მღვდელი, „ადგილობრივ ინტელიგენტურ ძალებს“ უსაქმობა და კარტის თამაში, — აი რის ვარშემო ტრიალებდა ყველგან და ყოველთვის რახუნაშვილის ფანტაზია. ასე რომ მის კორესპონდენტის სოფელ „ქალაბოურის“ მაგიერ რომ სოფელი „პატრიკეთი“ დარქმეოდა, ან კიდევ სოფელი „კონტუათი“. სრულებით არას დაკარგავდა, ვინაიდან ყველა სოფელს ერთნაირად მიუღებოდა. ეს კი ცოტას არ ნიშნავს.

საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ რახუნაშვილი ყოველ კორესპონდენტის რედაქტორის სახელზე თან ატანდა ამგვარ წერილს: „დიდით პატივსემული რედაქტორო! გიგზავნით ფრიალ საინტერესო წერილს, ფაქტი სრული ჭეშმარიტებაა, თუ ვინმე შემომედავება, სისხლის წვეთამდე დავიცვამ ჩემს აზრს, ამიტომ, თუ ცენზურული პირობები არ შეგიშლისთ ხელს, ვთხოვთ დაბეჭდოთ, მართა უცვლელათ კი. თუ წერილი არ დაიბეჭდება, ვთხოვთ მიზღვი მაცნობოთ და წერილიც დამიბრუნოთ (შავი არ შემინახავს), რისთვისაც გიგზავნით საფოსტო მარკას. კორესპონდენტის მოგწეროს სრულიად და უცვლელათ ჩვენი სახელი და გვარი: თეიმურაზ რახუნაშვილი“.

რახუნაშვილის წერილი ბევრჯელ წაფრიალებულა თავდაყირა სარედაქციო გოდრისკენ, მაგრამ ავტორს ამის შესახებ არცერთი სასამძირო წერილი არ მოსვლია რედაქციისაგან, ასე რომ მარკებსაც თქვენნი ჰირი მიჰქონდათ, თუნდაც უნდა ვიფიქროთ, რომ არა სარედაქციო გოდრისკენ.

ასეთ ყოფაში შეუსრულდა რახუნაშვილს 35 წელი: ეს იყო განვლილი მოძრაობის განვლენის დასაწყისში როცა სალიტერატურო ასპარეზზე მერანო მერანზე გამოაქვენს ჩვენმა ახალგაზრდა მგონებმა. მოსწრებული კაცები ამბობენ, რომ პოეზიით გატაცება ისე ძლიერი იყო იმ დროში, რომ მთელი საქართველო სამხარეულოშიც კი ლექ-

სებით ლაბარაკობდა. რა ვასკვირია, რომ ასეთ ატმოსფეროში რახუნაშვილსაც უნაქრეფო და გართომებით ელაბარაქა. და ერთ შეგვიერი დღეს, წაპტრა თუ არა ჩვეულებრივად მუშა მხელი, ხელათ წასქდა რახუნაშვილს პირიდან შემდგერი რითომები: ია, ბია, ტყვია, ღლია; აია, ბაია, მია, კაია.

— ბიკოს, ეს რა ადვილი საქმე ყოფილაო, — წამოიძახა თეიმურაზმა და წამსვე შეუდგა კალით ქალაღდის გაწავებას. არ ვასულა ერთი კვირა და რახუნაშვილის ლექსიც დაიბეჭდა. პირველს მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე და საქმე გაიარა. რომ იკადგეთ რამდენი სიცილი იყო ამ ლექსების გამო ქართულ რედაქციებში, მაგრამ რახუნაშვილის ლექსები მაინც იბეჭდებოდა, ქართველი საზოგადოება მაინც სტკებოდა მისი პოეზიით. რახუნაშვილსაც ეს უნდოდა, ის ნათლათ ამწვედა, თუ როგორ თანდათან იწვედა მისი სახელი და დიდება და ლექსების წერასაც უმატა, დღეში უქანასკენელს სამოთხს ლექსს დასწერდა.

— აკაო, რა დრო დამიკარგავს, რა დრო, ამ ოხერი კორესპონდენტების ჯღაბანში! — ამბობდა ღიმილით და განაგრძობდა წერას.

ამ დროს ერთმა „მუშუშევაზმა სტუდენტმა“, რომელიც დღე და ღამე სარდაფებში იყო და ამასთანავე წ. კ. საზოგადოების სტენდლისაც იღებდა, კრიტიკოსობა დაიწყო და რახუნაშვილის შემოქმედების რამდენიმე ქათინაური უძღვნა. ეს სრულიად საქმარისი იყო ქართველი საზოგადოებისათვის, რომ რახუნაშვილი შოთას გვერდით დაესვათ. რახუნაშვილმაც, რასაკვირველია, შეიფერა ეს საპატია ადვილი და მედგრათ შეუდგა საკუთარი პოეზიის გაგრეცელებს და პოპულიარიზაციის. არცერთი ლიტერატურულ საღამოს, რომელიც ასე ხშირათ იმართებდა ჩვენში, რახუნაშვილი არ დაჰკლებია, არ დაბეჭდილა ერთი ქართული აფიშაც კი, რომელზედაც მგონანი რახუნაშვილი არ ყოფილიყო გამოქიბული. საღაც უნდა გამართულიყო საღამო, გინდ ქიხეში, გინდ აპარაში, გინდ გურია-სამეგრელოში, ან კიდევ ქართლ-კახეთში, რახუნაშვილი ყველგან საკუთარს ხარჯით მიმოდიოდა და კითხულობდა თავის ლექსებს.

ამასთანავე გავითებში რეცენზიას თითონ ათავსებდა თავის თავზე, ანდა მანამ არ მოეშვეოდა „ადგილობრივ კორესპონდენტს“, რომელთა რიცხვი ლეგიონია, სანამ რეცენზიას არ დაწერინებდა. წე-

რილი, რასაკვირველია, რახუნაშვილის ქებით უნდა დასრულებულიყო: ჩვენმა სასიქაღულო ახალგაზრდა მგოსანმა*) საზოგადოება დაატკბო და სხვა.

რახუნაშვილი ხშირათ ასეთ საშიშ ცნობებსაც კი აწვდიდა ვახუშტის თავის შესახებ: „მგოსანი რახუნაშვილი გუშინ ათ საათზე საშიშ ავად გახდა, ექიმების აზრით მდგომარეობა სერიოზულია. მწახველებს სთხოვენ ავთამყფს ნუ შეაწუხებენ“; მესამე დღეს გულ-აძვერებული საქართველო უფრო სანუგეშო ამბავს ამოიკითხავდა ვახუშტის: „მგოსანი რახუნაშვილი თავს მშვენიერათ გრძნობს და ამ დღეებში კიდევ გაივლისო“. ამას გარდა სხვაგვარ ცნობებსაც აწვდიდა თავის შესახებ რახუნაშვილი ჩვენს გაზეთებს, მაგ.: „მგოსანმა რახუნაშვილმა რკინის ვაზის სადგურზე დაჰკარგა უქანასქნელი თავისი ნაწარმოები „ყვავილთა შორის“, მწახველმა დაუბრუნოს ავტორს, ადრესი ყველამ იცით“; „მგოსან რახუნაშვილს გადაწყვეტილი აქვს ესა თუ ისაო“ და სხვა. თეიმურაზი ყველგან სიტყვა „მგოსანსა“ ხმარობს. ეს იმითმ რომ რახუნაშვილის აზრით სიტყვა „პოეტი“ რაღაც გაცვეთილი და მოძველებულია, „მგოსანი“ კი უფრო ღრმა აზროვანი და მეტის შარავანდელით მოცულია.

ასე შეიქმნა რახუნაშვილი ცნობილ მგოსნათ საქართველოში. როგორია მისი ლექსების თვისება? ტყუილი ცდა იქნება თუ დიწყებთ იმის მტკიცებას, რომ რახუნაშვილის ლექსები მისი კორესპონდენტებისაგან განირჩევაო: იგივე აზრთა სიმარტივე, ფერადების უქონლობა, სიღარიბე, მღვდელი, დიაკვანი, მამასახლისი, სახნისი, კავი და სხვა. აი რის გარშემო ტრიალებს რახუნაშვილის პოეზია, მისი ლექსი გინდ წადმიდან წაიკითხე და გინდა უკუღმიდან, გინდა ქვევოდან, გინდა ზევიდან. აზრი ყოველთვის ერთნაირი იქნება, არც ფორმა და არც შინაარსი არაფერს არ დაკარგავს, პირიქით, შეიძლება კიდევ მოიგოს.

ამ ორიოდვე წლის უკან ჩვენმა კრიტიკოსებმა „ვინ ხარ მამაკი“—თ ავგიკლეს: ვიღუებებით ხალხი, ჩვენს პოეტებს სათანადო განათლება არა აქვთ და ამიტომ აზრიანი ვერაფერი დაგვიწერესო. ეს შეცხებოდა რახუნაშვილსაც, რომელიც ხშირათ იმ

აზრისაც იყო, რომ უბრალო „სახსნისაგან“ დღევანდელ წესწყობილებაში რაც მე უკეთესზე მეტი ცოდნა რა საქიროაო. ხშირათ იტყოდა ხოლმე მგოსანი, მაგრამ ახლა აზრი იცვალა: „ხმა ღვთისა და ხმა ერისა“ ხომ იცით, და შეუდგა თვითგანვითარებას. როგორც პოეტი, დაძაძა პოეზიას, ლექსებს, ბელეტრისტიკას კი სიხალგოვესაც არ იკარებდა—რა ჩემი საქება პროზაო. მაგრამ ერთ ბედნიერ დღეს რაღაც მანქანებით გოგოლის „Старосвітские помѣшники“ ნახა და კითხვასაც შეუდგა. ჩაიკითხა ბოლომდის, მაგრამ არაფრად ექაშნია, „თუ ამის დამწერი კაცი დიდებული მწერალია, დაქცეულა ქვეყანა და ის არისო სთქვა. და ის იყო შორს უნდა გადაედგო მოთხრობა, რომ რაღაც ზემთაგონისებური მოველინა მას. მოავლოდა ათანასე ნიკფოროვიჩი და ნესვები და სახე გაუბრწყინდა. ხომ ვახსოვთ როგორ იქცეოდა გოგოლის ეს გმირი ნესვების მიმართ: მიირთმევდა თუ არა რომელიმე მათგანს, მაშინვე მოავროგებდა მის თესლებს, გაახვედა ქაღალდში და ზედ დააწერდა: „ნესვი ესე შექმულ არს ამა და ამ დღეს და ამა და ამ წელსო“, შემდეგ ასეთი ეპიტაფიისა ნესვის თესლს თაროზე ჩაიბოღებდა და წლიდან წლიმდე ინახავდა. აი ეს მოეწონა მგოსან რახუნაშვილს მთელ ნაწარმოებში.

— ბიჭოს, ეს ძალიან აზრია, —წამოიძახა მან, —მართლაც კი შეძლებია წიგნების კითხვას კაცის განვითარება, აი მე რო ლექსებს ვებუღავ, რაზე არ ვაწერ ქვევით თუ როდის დავსწერე! ათანასე ნიკფოროვიჩი ნესვებს ექცეოდა ასე გულმტკივნეულად და პოეზიის ნაწერწყლები არ უნდა დაეფასო! აი შენ ჩემო თაგო!

ამის შემდეგ არ დაბეძლიდა არც ერთი ლექსი რახუნაშვილისა, რომელსაც ქვევით არ წერებოდა, თუ სად დაიწერა, როდის და რა დროს. ამას კატეგორიულათ მოითხოვდა იგი რედაქციისაგან, იმ საბუთით, რომ ეს „აუცილებელათ საქირო იქნება მომავალი თაობისათვის“ და „შრომის გაუადვილებს ჩემი შემოქმედების მკვლევარსო“. რედაქციებიც ეთანხმებოდნენ რახუნაშვილს და ყოველი ლექსის ქვევით მიუბეჭდავდნენ ხოლმე: „ს. ოფშექეთი, 18 მარტი, 19.. წ.“, ან კიდევ „ქ. ესა და ესო და სხვა.

აი რა შესძინა თვითგანვითარების დაწაფებამ თეიმურაზ რახუნაშვილს, რომელიც იგრძნო რა საკმაო განვითარება, დღეს წიგნებს მარტო თარო-


*) ლაპარაკია არა ხნოვანობაზე, არამედ რახუნაშვილის არსებაში ლექსის დაწყებაზე.

ზე სდებს თავგების საკითხავათ. პირველ ხანებში კი თვითგანვითარების წყურვილმა საშინლათ გაიტაცა და ვისაც კი შეხედებოდა, ეუბნებოდა: „კაცო, რა ყოფილა ეს წიგნების კითხვა, ასე მგონია რაღაც შემოდის ძარღვებში და მილიტინებს, მაფრთოვანებს, მახალგაზრდებსო“.

ამ ეპოთ რახუნაშვილის სული და გული მუზიანათ მიჯაჭვულია ერთ აზრზე. სხედლობრ თავის ნაწერების გამოცემაზე. მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ ბევრი რამ ელოდება წინ ჩვენს სასიქადლო მგოსანს, პირველ ყოვლისა კი ის, რომ ვერ გადაუწყვეტია კორესპონდენციების ბედი. არ იცის პირველ ტომთ ვაუშვას, თუ მეორეთ, თუმცა საქმე საბოლოოთ არაა გადაწყვეტილი, ჩავგან ერთი პროექტი ასეთია: პირველ ტომთ გამოვიდეს კორესპონდენციები, რომელსაც უნდა დაერთოს მგოსნის სურათი და ჩვენი კრიტიკოსების წერილები, მეორე ტომთ კი ლექსები და ავტორის ავტობიოგრაფიასთან ერთად მისი მშობლების სურათებიც, აგრეთვე კრიტიკული წერილები წინასიტყვაობის სახით. თუ რომელ ტომს რომელმა კრიტიკოსმა უნდა დაუწეროს კრიტიკული შექება, ეს ამ სტრიქონების დამწერმა კარგად იცის, მაგრამ ტაქტიკურის მოსაზრებით გერ-გერობით არ ამხელს, ხოლო ამას კი ამბობს, რომ პირველი ტომის ესტეტიურათ გამარჯვებულ კრიტიკოსთა შორის უთუოდ იქნებიან ალ. წერეთელი და გიორგი ჭუმბურიძე, თუ, რასაკვირველია, რახუნაშვილი თავის თავს ფედერალისტათ აშკარათ გამოაცხადებს.

ვუსურვოთ რახუნაშვილს აქაც სრული გამარჯვება და კითხვისაგან მოვისვენოთ.

ვ. მალაქიაშვილი.



პატარა ფელეტონი

ბაღვაშვანთაძე.

- ძინ, ძინ, ძინ!
- ვინ არის ტელეფონთან?
- მე ვარ თედორე. თქვენ?
- მე სამსონი ვარ. ვინ გინდა?

- არჩილი მოვიდეს ცოტა ხანს ტელეფონთან.
- არჩილს არ ცალია, შენააქავე!
- აუცილებელი საქმე მაქვს, მოიცალოს ცოტახანს..

— ეჰ, აღარ მოასვენებ ადამიანს!.. ვეტყვი, დიციდე..

- ძინ, ძინ, ძინ!
- არჩილი ხარ?
- ჰო, მე ვარ, რა გინდა, კაცო?

— ვიცი გაგებარდება და იმიტომ მოვაცდინე: ორი მუშა (ყოფილი დასელნი) კიდევ შემოგვეპატა ჩვენი—ეროვნული რწმენა შეუთვისებიათ!..

— მართლა?! ემატოს, ემატოს ჩვენს!.. მაგრამ მაგისტვის როგორ მომაცდინე? საუცხოვო მეთაურს ვსწერდი და მადა დამეცარება..

- რაზე სწერ სხავალიო მეთაურს?
- სიძვირეზე, გაკვირებაზე..

— ეჰ, კიდევ თქვენებურათ მოქმედებთ, კაბინეტურათ!.. კაცო, რა გამოვა მაგების წერით? სანამ ჩვენში სომხები იქნებიან ვაჭრებთ მანამ სიძვირე რამდენიც უნდა ვსწეროთ—არ მოისპობა, არა... არ იცით, რომ სომხის ხალხს საზოგადოთ და ვაჭრებს განსაკუთრებით მხოლოდ ფული უყვართ!..

— როგორ იქნება, ხომ ხედავ ქალაქში უწყსობა მობდა..

— ჰმ, უწყსობა, მაგასაც თავისი ღრმა ეკონომიური მიზეზი აქვს.. მაგ ტემპზე მე ვფიქრობ ამ დღეებში ღიღ, მეცნიერულ და სტატისტიკით დასაბუთებულ შრომის დაწერას. მოდი ისევ ეროვნულ თემაზე დასწერეთ რამე.. დღე, ბარემ ერთხანით იგრაგინონ დასელმა მუშებმა და ჩვენცენ გადმოვიდნენ!.. არჩილ! რომ იცოდე როგორ იპარჯევენ ჩვენი მრწამსი... მე ხომ ეხლა პრაქტიკულ მუშაობას ვეწევი და ჩემს ალტაცებას ზოგჯერ საზღვარი არა აქვს: აშკარათ ვებედავ მუშები როგორ ეთიშებიან დასელებს და „ხეირთ“ ეკედლებიან!.. მაგრამ ბევრი, ძალიან ბევრი ჯარი ყავთ დასელებს და ასე ცოტ-ცოტა თუ გადმოვიდა, — ეს პროცესი ღიღანს გაგრძელდება. ამიტომ საჭიროა ჩვენც მოუხშიროთ წერას განსაკუთრებით მუშებზე.. სიძვირეზე სხვა, ბურჟუაზიულმა ვაზნებმა წეროს. რა მუშების, პროლეტარიატის საღაო საკითხი ეგ არის მაინც-დამაინც!..

როგორ იქნება, როგორ იქნება! დავცი-
ნებენ... „ღარბისეულ გაზეთს“ უწოდებენ ჩვენ გა-
მოცემას, დიდი ავტორიტეტი აქვს ქართველ საზო-
გადოებაში და რაც ამ ეპოქაში მის აღწევლებს, მაზე
უნდა გამოვთქვათ ჩვენი აზრი. წარმოიდგინეთ,
„თან. აზრი“-ც კი ყურადღებას აქცევს ამ კითხვას
და ყოველ დღე წერილებს უძღვნის... ჩვენ? მართლ
დასვლვებზე ვიმსჯელოთ?! გარდა ამისა, „ზვირთი“,
ხომ თავისუფალია, მოდელი და... სულ ბღღვირი
აადინე!.. მოუსვენარი კიდევ ხომ ვერ მოისვენებს,
უთუოთ მოგაწვდის რისმე ამ ნაწარმისთვის, გამაგ-
რდი, არ მოგაკლდება მისაღები!..

— მე, ძმაო არჩილ, თუნდა ათი ნომრის მა-
სალას ერთ დღეს დავამზადებ, გაქირავებით, მადლო-
ბა ღმერთს, ჯერ არ გაქირავებია, მაგრამ „ზვირთი“
მართლ არ კმარა, საქირაა „სახალხოც“ მუშათა
საკითხებს მეტ ყურადღებას აქცევდეს. დააკვირდი
საქმეს: „საქართველოც“ კი სოციალისტობს ხან-დი-
ხან და მუშათა კითხვებზე საუბრობს!.. ჩვენ უფრო
ნათესაური კავშირი გვაერთებს სოციალიზმთან ვი-
ნემ მათ. „საქართველოს“ თავადებს და „კუპცებს“.

— არა, ძმაო თედორე! მე მაგ ვანყენებულ
მსჯელობაზე ვერ დავითანხმებდი სავსებით... ნათე-
საობა ჩვენ უფრო „საქართველოებთან“ გვაქვს,
ვინემ დასვლვებთა, ხოლო სოციალიზმთან-კი სრუ-
ლებით არაფერი!..

— ამ შემთხვევაში მე პროგრამაზე მივითითებთ!..

— პროგრამაზე მივითითებთ?!

— დიახ, პროგრამაზე, სადაც სოც. ფედ. ნათ-
ლათ და გარკვევით აქვთ აღწვსული სოციალი-
ზმის გზა და მიზანი.

— ჰოო, იმ პროგრამაზე ამბობთ? იქ დიახაც
არის აღნიშნული, მხოლოდ აღნიშნული.. მაგრამ
ამაზე შემდეგ ვისაუბროთ. ეხლა-კი ისევ ჩემი მეთა-
ურის წერა უნდა განვავრძო... ნახვამდის.

— ნახვამდის.

— ძინ, ძინ, ძინ!..

ალბურონი.

„პეპელი“ და „პეპელი“

„სახალხო ფურცელიც“ სწერდა...
(მართლ ბუზებს არ იქვრდა...)

...რომ „პოლოროში“

თფილისისო,

სამიდან—ხუთ

იფილისისო,

არ ეხება

„ძველ“ თფილისსო

და „ახლისგან“

იფილისისო...

ვისაც ესხან თვალნი მჭერად,

(ვინც არ სდევდის ბუზთა საქვრად!)

ის ნახვდა

ძველ თფილისელთ

ხავერდები

რო ეყრა ხელთ.

რომ მხველანი

ჩიხტა-კაპოთ,

(სახელ ქმნილნი

მაქანკლობით!)

„პოლოროს“ ტყილათ

ნაგუებნი

მაულ დანაჩაგუებნი

მიდიოდენ

არხენათ

(თითქოს ფულით

შეიძინათ!)

და თუ მართლაც

„ღღდა-თფილისს“

ან სამსა, ან

ხუთსა იფილის

თავი ვანზე

დაევირა

და ქართველი

ტურფა ცირა

(მორცხვი როგორც

„მზეს უმზირა!“)

მედს სხვებში


არ ჩაეჩხირა,

და ნაძარცვით

დანატყირთნი

მოზარდთა და

ხნოვანთ ზვირთნი





ქუჩებს ზღვად არ მოსდებოდა,
არც „პოლორომი“ მოხდებოდა!

(ძარცვის ხელი
თუ ვინ მიპყო
იქ გარჩევა აღარ იყო!)
და ვინც ნახავს
„განაჩენებს“
ძველ თფილისელთ,
მკვიდრსა ჩვენებს,
მუენ ბევრს ჰპოებს
მონახსენებს...
(იქნებ ქართულს
ვერ მიმიხვდით?
მოკრძალებით
ვაშობო დიდით!)
მაშ მო, ენახოთ
„პროტოკოლნი“,
სად თფილისელ
მკვიდრთა ცოლნი
იქნებიან ნახსენები
ამ „პოლორომთა“
დამშვენები.

და თუ ჩვენ არ
ვცდებით... მგონი
ძველის-ძველი
დაბა ხონი
საეპროთა
დიდთა მქონი
და სკოლათა
ჩემპიონი,

გახდა მსხვერპლი დედა-კაცთა
(ძარცვა-გლეჯა არც მას ასცთა!)

თქვენ გექნებათ
განაგონი,
რომ, არა თუ
მარტო ხონი
გახდა მსხვერპლი
„ტრადედის“,
და აშაფი
სამტრედიის
ყველამ იცით
უმაველათ,

თუმცა სამტრედია ძველათ

არც კი ჰლოდა ხსენებულნი
ის ბოლო დროს დაგვეხსენებენ

მე კაცი ვარ
ერთობ ჩუმი,
თორემ განა
ეგ სოხუმი
ზღვის პირათ რომ
გაქიშულა,
გაუტარცველ დარჩა სულა?
ან ეს ჩენი
„ოდელია“
ბანძა დიდი
სოფელია
(სადაც „ნახევარი ქურდობს“,
„ნახევარიც მთხრობელია“)
ხომ „ძველ“ ოდიშს
დამშვენებს
და ბინა აქვთ
მარტო ჩვენებს?

ვსთქვით „ძველ თფილისს“
ვაშა! ვაშა!
ეგ სუჯუნა?
ეგ აბაშა?
აღარ ვიცი
რომელი ვთქო,
დედა-კაცი
(განგებ თითქო!)
არ არჩევნ „ძველს“ ახალში
და „პოლორომთა“
ტრფობის აღში
ეწრთობიან
იხრაკვიან,
„ჩვენებზე“ ვსჯით
ერთობ გვიან.

ეშმაკი.





„განსხროვის მოვლანი“ თელავში.

კურორტი თელავი

წერილი მხოცა

ამ ხანად, ცხოვრება აგარაკ თელავისა სდულს და გაღმოსდულს. მე თქვენ გითხრათ აკლდეს რამე შემთხვევით, ან განზრახ აქ ამოსულს! მარტო ქალაქის თვალი, საავარაკო ბულვარი, რათა ღირს. იშვიათია საზღვარ გარედაც, არა თუ რუსეთში, ასეთი ხელოვნებით და გემოვნებით გაშენებული ბაღი. აქაცები და იფნის ხეები მედგრათ სდარაჯობენ, დაღვრემილ ციხის კედლებთან ერთათ, აქ მოსიარულე საზოგადოებას და შვის მხურვალე სხივთაგან იფარავენ მათ.

ვის გინდათ აქ არ შეხედეთ. ისეთი ერთსულოვნება, თანხმობა და წმინდა პატრიარქალური მამაშვილური განწყობილება, როგორიც აქ სუფევს, ძნელათ თუ სადმე მოიპოვება. ამას ნათლად დაინახათ, როცა დახედავთ ჟურნალის პირველ გვერდზე მოთავსებულ სურათს. (იხილე სურათი 7. გვერდი 1).

მაგრამ თქვენ არ იფიქროთ, თითქო მარტო ამ ედემისებური ბულვარით ისაზღვრებოდეს ადგილობრივ „მამათა“ მზრუნველობა მოავარაკეთადნი. არა, ამავე მიზნისთვის ქალაქს გამოყოფილი აქვს უწარჩინებულესი მდელი „ნადიკვარი“, რომელსაც მოავარაკენი „განცხროვის მოვლანი“ ეძახიან. ელექტრონის თვალით მოპჭრელი სინათლე, საუცხოველესი სკამები, ყვავილნარები, შადრევანები და სხვა ანგვარი მოწყობილობანი ამკობენ, ნადიკვრის ბუნებრივ სიმშვენიერესა და სიმდიდრეს. უმანკო ქალაქთა გულუბრყვილო, ანგელოსისებური თამაში ატეხობს პირველ მნახველთა გულსა და სულს. ვერკეთ წოდებული „ფლირტისა“, ანუ ჩვენებური „არშიყობის“ შესახებ აქ წარმოადგენაც არა აქვთ. (იხილე სურათი 8. გვერდი მერვე).

მოავარაკეთა კეთილდღეობა სხვა მზრვივც უზრუნველ ყოფილია ადგილობრივ თეთიმართველობის მიერ. აქაურ საყასპოებს მეტოქეობის გაწევა შეუძლია თითქმის საუკეთესო ქალაქების საყასპოებთან. რის ხორცი გინდათ აქ რომ ვერ იშვოთ.



სანოვავე თელავში.

ირემი, შველი, ჯიხვი და სხვა აქ გამოულეველი და თავზე საყარია. შინაურ ცხოველებზე ხომ ლაპარაკიც მეტია. თავაზიანობა ყასებების პირდაპირ აუწერელი და მომხიბვლელია. (იხილე სურათი 9. გვერდი მეცხრე):

და განა მარტო საყასპოები? თქვენ მიბრძანდით და ნახეთ ბაზარი შინა სანოვავეთა. რას მოისურვებს ადამიანის განებივრებული ზასითი, რომ აქ ვერ იშოვოს საზღაპრო დაბალ ფასებში. ჩიტის

რძე, ისიც კი იყიდება ჩარქეობით. აღსანიშნავია, რომ ეს დარგი ვაჭრობა-მრეწველობისა ერთიან დიაცთა ხელშია და ყოველივე საფრთხისაგან აღზღვეული (იხ. სურათი 10, გვერდი 16).

და ყოველივე ამის შემდეგ კიდევ მოუბრუნდება ვისმე პირში ენა, რომ სთქვას: — თელავს პატრონი არა ჰყავს. მის მამინაცვლებს საღათას ძილით სძინავთო. (იხ. სურ. 6, გვ. 16).

ოხკარ ი. შლინგი.



მე, შაჰრის მოგონო...

სანდრო გორელის წერილი ცოლთან, ყვირილის ციხედან მონაწერი.

(სცენა ქიათურისათვის).

ვეჯან, გენაცვალე კარაღინკა სახეში, რასა ექ და როგორა ხარ, კაკ პაეივაში ღუშუა! წერილს აქამდისც მოგწერდი, მაგრამ რაღა მოგწერო გენაცვალე! გამიწყრა თელეთის მადლი, შავჯუქი ვირზე და ესლა თასი თავში ქვა ვიხალა რაღა ეშველება საქმეს! არა, ქრისტიანო, რა ეშმაკი შამიჯღა, რა ქრისტე გამიწყრა, რომ საციმბირით ვაფიხადე საქმე! არა, რატომ არ მიხვდა ჩემი გადარდაკებული ბაშუკა, რომ ამ ქვეყნათ პატროსანი კაცი არსად არ არის არა ისე მუამიტათ რომ ვენდე რატომ არ ვიკითხე, თუ ვისთანა მქონდა საქმე! ყველაფერი ჩემი ბრაღია, მაგრამ რა ექნა, მამატყულიც ღუშუა, კაცი ტირილით მოვიდა, შამებუქვა: „ბავშვი მიკვდებო უჩიოთ და იქნება სამიოდე გირვანქა შაჰარი მიშოვო“. მეც ვაგებრიყვი, შემეცლა, მე დავიყვლ და ჩემი ოჯახის შაჰარი მივეცი სამი გირვანქა, არა, რა ვიცოდი, თუ ის ურჯულო და სარწმუნოებიდან გადამღვარი პუბლიკაციას დაჰკრავდა და თავიზე ვივირვით იღრიალებდა! სიკეთის მაგიერთ იმ ჯოჯოხეთის ტარტაროზმა პრისტავთან მიიჩია. თუ, სანდრო შავერდოემა სამ აბაზათ ბოძიყდა გირვანქო, ქრისტიანო, ის ურწმუნო თითან თოთხბერტ შაურს მიძღვედა, მაგრამ მე არ ვიკადრე და სამ აბაზათ მივეცი გირვანქა. არა, რა ვიცოდი თუ გულში სხვას ფიქრობდა ის უმიზნო ისა! ადამიანო, გაჰირველუ კაცს უშველე და რას ვიფიქრებდი, თუ ის ფულზე კრინტ დასძრავდა. ამისთანა დროს კაცმა საქინელი იშოვო და ღირებულებებზე ილაპარაკოს! არ გახსოვს, ქრისტიანო, იმ დღეს პეტრუშუკა რომ ვერ ვიშოვე, გუბელაძეს ამოვატანიე პადელიდან დამაღლოლი და კონაში შაური მივეცი. რა უყოთ მიჰირდა და მივეცი, მართლა გუბელიძეც აქ არის ჩემთან ვალიაში. ცხრა კაპიკი ლიშნი გამოურთომევია ხანგში იმ საიკრეში დასაწყვავ ჟოგვისათვის“ და იმისი პრატაოლითა ზის საწყალი. არა მიხერა დაუშავეთ იმ ჰირ ძალს რომ ასე დაგვერა ვაჰრებს და აღარ გვზოგავს. კაპეიკი ლიშნი რომ გამოართო ხელათ პრატაოლს შავიყენებს და „ეშმაკის მათს რაბში“ ხომ საქვეყნო რაზბონიკათ გამოგყენენ რაღა! ვეჯან, გენაცვალე, ეს წერილი ჩუმთ წი-

კითხე, რომ არავინ გიგოს, უფარემ ხელათ ამბავს მიუტანენ და ის ავაზაკი ვახუციანი ვიყვარებოვს, ეს, ღუშუა, ვიწვი და ვიხრატები უტეცხლოთ, მაგრამ რა ექნა, ვილას შავაბრალო თავი! ეს ჩვენი პრისტავიც ხომ უფიციტური კაცია რაღა! არც ხვეწნა გადის იმისთან, არც ფული და არც არაფერი! არა, ძალიან ჩავგვეტერა ვაჰრებს და სრულებით აღარა გვზოგავს. კილენ ღმერთმა ააშენოს ტიგრან სტეფანჩ სტეფანოვის ოჯახი. იმას რომ არ გადაეთქვა პრისტავთან და ლოენი პაჰანია არ მიეცა, ნამდვილათ ირკურტკი გუბერნაში მიკრავდა თავს ეს ჩვენი პრისტავი. შენ ხომ იცი რომ ტიგრანა უყურებდა სამ-სამ აბაზში რომ მივეცი გირვანქა, მაგრამ გადათქვა ააშენოს ღმერთმა. არა, მე ისა მკლავს, ადამიანო, რომ ორი თვე ციხეში ვიჯდე და რისთვის! არა, რომელი ყაჩაღი მე ვარ, რომელი ნაბადენია მე გამიკეთებია! მამაღმა რომ დაიყვლოს შიშით სული მარცხენა ფეხის ფრხილღებში მეგპარება და მე რა სარაზბონიკო საქმის ჩამდენი კაცი ვარ? არა, ის დაწყვეტილი დღე მიხინც კვიმატი რამ იყო. ვინა არა მე დილითვე მიხვდი, რომ იმ დღეს მე ხეირი არ დამეყრებოდა, მაგრამ რომ არ დაუჯერე ჩემ თავს ვითომ ძალათაც ვეზმობდი, ვახსოვს იმ დღეს ნიკაპში რომ ხელი აგკარ და ნეჩინათ ენა დაგაწეწე? მეორე რაღა იმ დღეს დაგაწეწე ჩემ საუბედუროთ! შენ რომ ენა არა გტკიებოდა, იქნება რაშეს მტყყოლი, აღმიშოილი და ასეთ ნესჩასტიაში არ ჩავკრავდი ორივე ფეხს, ეს, რა ექნა ღუშუა, ვავხდით მთელ ბაზრის სასაცილო და რაღა ეშველება გაფუქვებულ საქმეს! სხვა თუ ჩემ ამბავს იკითხავ, ვარ რაღა უტეცხლოთ დამწვარ-დახრაკული. ვზივარ ოთხკედელშუა და დღე და ღამე სულ მტურმის ვაინა მაქვს გამართული ბაღინჯოვებთან. არა, ამ სახედაღლებმა სულ ჩემზე მიცალეს რაღა! კაცი გაფიქრებული ვარ სამ კაპეიკიანი ტარანივით და ეს ურჯულოები პასლენდი სისხლსა მწოვენ რაღა! ვა, შენ გენაცვალე მაგ ფიგურაში არ იდაროდე თუ ჩემი ხათრი გაქვს. მე კი არა გილდი კუბეწი, პატი გოვდაგარი მიხა ლომამე ვადასახლეს ირკურტკი გუბერნაში და მე რომ ორი თვე ვიჯდე ვირის აბანოში, რა დიდი საქმეა არ შამენდე და წარბი არ შახარო. იმხიარულე, იცნე და მტერს თვალეში დაუყენე. გრამაფონი და არღანი სულ ერთათ აყვირე, რომ ქერმა უკაცობა არ შიტიყოს.

მსხვერპლი

გორში არავის მისწერო და ისე ვინ რას გაიგებს, რომ სანდრო შავერდოვი სამი გირვანქა შაქრისათვის ტურმაში ზის. შენ თუ არ გაახმაურებ ვერა-ვინ გაიგებს. გამოვალ და ისევ კაცი ვიქნები. შენ ძალიან ასტაროენათ იყავი გენაცვალე. დღექანი ეხლა შენ ხელშია და აბა შენ იცი. ტაკის ნაკლებ მიეცი, ოლონდ ხლაფოთში ნუ გატყვევნი, თორემ შენც აქ ჩამოგარახებებენ და სავსემ დავიღუპებით. კიდევ კარგი თუ ჩემთან დაგამწყვდიეს. მაგრამ ვაი თუ სხვა კამერაში ჩაგსვან და მე მშვიერი კატსავით თვალენი მაქუცვინონ. აბა, შენ იცი და შენმა ქალობამ, როგორც შნოსა და ლაზაის გამეიჩენ, არ იღარდო გენაცვალე რაც იყო, იყო...

ნუ, რა უყოთ სლუჩი მოხდა, მოითმინე გენაცვალე, ნეჩინათ დაბრუკული შენი სანდრო შაიბრალე.

ვაშაკურად მოიქეცი, არ გაგიტყდეს, გოგო, გული თვალი სხვაგან არსად დაგარჩეს, არ გეგონო დაკარგული.

პისმო პიში საარშიყო შენ რომ იცი იმისთანა, რომ დარდები გადიყაროს და ამიტყდეს გულის ფხანა.

აღრესი არ დაგავიწყდეს, პრამათ ჩემზე მაიწერე და პისმაში რაცა გსურდეს ტოქი-ტოქათ შიგ ჩაწერე.

დაწერევი: ნა ყვირილა, ნა ში მუე ციხეშია, ბაღლინჯოების გეროის ვენაცვალე სახეშია.

შაქრისათვის დატყვევებულს, ჩაგდებულ ციხეს ბნელშია, გადევცეს ესე პისმა პრამათ ჩემ სანდროს ხელშია...

გოგია.

საწყალი ვანო მეცოდება დაუიწყარი მეგობარი! ჯან-ლონით საესე აღამიანი იმხვერპლა მხოლოდ უბრალო ვარემობამა.

ერთ მშვენიერ დღეს ვანო მესტუმრა.— გუგული-ჯან, რას ფიქრობ, ღირს თუ არა ახალი სადგომის მოძებნა და დაქირავება? კაცო, სადღაც „ნახალოვკაში“ გადაკარგული ვარ! სწორეთ მცხენენია! მერე კიდევ ზაზხულია. მგონი ახლა ადვილი საშო ვინ იქნება ოთახი შუა ქალაქში. ღვთის წინაშე ჯამაგირს ათ თუმანმდე ვიღებ თვეში და შეიღრვა მანეთს გავიშებ კარგ, კობტა მოწყობილ ოთახისათვის.

და მე!.. მე, გულ ცივმა, ჩემს გულითადს მეგობარს ასეთი სიტყვებით უპასუხე:

— ექებე, ჩემო კარგო, იქნება მონახო სადმე, რატომ არ გასკდა მიწა და არ ჩამიტანათ ამ სიტყვებისათვის! იმის მაგივრათ, რომ ვანო ჯაქვებით დამება თავის „ნახალოვკის“ ოთახში და მეც იქვე ყური მეგდო, რათა არ გავმეორებია თავისი სიტყვები, იმის მაგივრად, რომ... რომ... ახ! ღმერთო რა ცოდვა ჩავიდინე! რა სიტყვები უთხარი, ღმერთო ჩემო!.. და ვანო გახარებული დარბოდა თავისი ენერგიული ნაბიჯებით.

სამი დღის შემდეგ შეგხვდი მას დიდებულში ველარ ვიცანი!

მისი მსუქანი ტანი ვენახის ქვივს დამსგავსებოდა, თვალბუმი რაღაც ავადმოყოფური გამომეტყვილებმა, ენერგია მოაღუნებულ!

— გამარჯობა, ვანო!

— გუგული, რას მიჩქე, პა! რომელი ვიქირავო? ერთი ოთახი საწოლით, მაგილით, ორი სკამით, ცხელი წყლით, ხუთ თუმანდ თვეში, თუ ერთი ოთახი საწოლით, მაგილით, ერთი სკამით და ცივი წყლით, ოთხ თუმანთ და რვა მანეთად? ჩქარა თორემ, იქნებ ამასაც ვერ მივასწორო.

— დამშვიდდი, ვანო-ჯან. წამო ჩამსა, კარგათ ვისაუზნობ, ძველებურათ ვიქიქიკობ.

— არა!.. არის კიდევ ორი ოთახი უავეჯოთ და ყველა მოწყობილობით რვა თუმანდ თვეში, ვიქირავო თუ არა?.. ოხ!.. მერე რაღა დარჩება ჩემი ჯამაგირიდან? რაღა გაუგზავნო ჩემს საბარალო დედას?.. ჰო, საბურთალოზე კარგი ოთახია სინათლით,



ერთი სკივრით და ორი სკამით ექვსი თუმანი ვი-
ჭირაო თუ არა?

— ვანო, დამშვიდდი!

ამა იყო ჩემი ცდა! ვერ დავამშვიდე ვანო!
ვერ დავანებებეი თავი ოთახის ძებნისათვის. ისეთი
აღზნებუი სახის გამომეტყველებით გამისხლტა
იგი ხელიდან, რომ ვერ გავებდე მისი შეჩერება.

ღიხანს ვუტყვირე თუ როგორ გავაძიცებოთ
ათვლიერებდა იგი ფანჯრებს, რათა ეპოვა თეთრი
ქაღალდის ნაფლეჯი—წიშანი სახლის გაჭირავებისა.

...მას შეხვედროდა ხელადოვის ბაღის ზემოთ
ჩვენი საერთო მეგობარი სოსო. ვანოს ქუდი სად-
ლაც დაეტოვებია, ფეხსაკმელებში თითები გამოვარ-
დნოდა, საყულო და გალსტუბი ხელში ეჭირა და
მიეტანებოდა.

— ვანო, ვანო!

— ჰა, ოთახი გაქ? ოცი მანეთი, ელექტრონის
სინათლით და ნავთის გასათბობით... არა? სოსოს
შეჩერებია იგი, მაგრამ ვანოს ისეთი ენერჯით მო-
ექნია თვისი ჯოხი, რომ სოსო "შიშისაგან" ორი
ადლის მანძილზე გმდამხტარიყო. ვანო კი ფარფა-
ტით მისცემოდა ტრიად მინდვრებს...

...ეგრეთ წოდებულ "ზედა თბილისში" ფუნ-
ქილიორის ახლო, იგი ქვაზე ჩამომჯდარიყო და
ცხარე ცრემლით მოსთქვამდა.

— ოთახო, ოთახო, თუმანიანო, სადა ხარ შენი!
დამენახე ჩემო კობოფიკი!..

..ღამე მახათას გორახე ეპოვათ ვანო, ხელში
ქაღალდის თეთრი ნაფლეჯები ეჭირა თურმე და
ყოველ ქვაზე აწებებდა, შემდეგ კი ეკითხებოდა
მღუბარე ქვებს.

— რას აფასებ, ძმობილო, ამ შენ თუმანიან
ოთახს? რვასა თუ ცხვა თუმანს? წყალსადენი გამო-
ყვანილი გაქვს თუ არა?...

..შემდეგ იგი გულწასული ენახათ სოლოლაკის
გვირაბში.

...წვიმიან დღეს კვლავ შეხვდით ვანოს. იგი
გაუთავებელ ელისაბედის ქუჩაზე მიეტანებოდა.

— ვანიჩკა!

— აა! სანჩო-ბანჩო! მიპოვე, გეთაყვა, ჩემო
კარგო, ერთი კობოფა ოთახი!

— ვანო, დამშვიდდი ვერ მიცნობ, კაცო? შე-
ნი გუგული ვარ.

— უფალო და მუუფეო, ცხოვრებისა შენისაო,

სულო ჭეშარიტებისაო!.. ყნვემან მტკუნა, რა-
მელი სჯობნის... ხა, ხა, ხა, ხა.

სთქვა ესა და მოჰკურცლა.

საწყალი ვანო, ქუჯაზე შემლიდოყო. დავედ-
ნე მას წესიერების დამცველი ავტომობილით, მა-
გრამ ვერ დაეწინენ. ვანო გერმანელების ახალშენ-
ში მიმალდოყო, დიღუბის აჩით...

ერთი კვირის შემდეგ ვახუთიში შემდეგი ამბავი
ამოვიციხებ:

"ქლაქის სასაკლავო ცოტა მღშობრებით იპო-
ვეს უცნობის გვაში, მუხედულობით ინტელიგენტი-
ძალზე გამხდარი, მის სახეზე ნათლად არის დასახლ-
ლი, რომ რაღაც უმეტეობა გამოუცლია სიცოც-
ხლეში. მიხილის საყადმოლოში გვამის გაჭრაბ აღ-
მოაჩინა, რომ იგი ათი დღის უქმელ-უსმელი ყო-
ფილა. ეჭებენ მის ნათესავებს ან ნაცონებებს."

უცნობი გვაში ვანოს გამოდგა. რაც კი რაიმ
ფული მებადა სულ მის წესიერათ დასაფლავებას
მოვანდადე... დიღუბის ეკლესიის გალავანში შეს-
ვლისთანავე დინახავთ მის საფლავს, მარმარილოს
ფიცრით დამშენებულს. ფიცარზე წარწერაა: აქ
განისვენებს მსხვერპლი სადგომის ძებნისა ივანე იო-
სების-ძე სოლომონძე. დაიბადა 1893 წელს 7 ოქ-
ტომბერს, ტრადიკულათ გარდაიცვალა 1916 წელს
15-16-17 ივლისს*). იძინე მეგობარო, საუკუნო
იყოს ხსენება შენი.

გვაგული.

მოჭიდავენი

(იგავ-არაკი)

ერთხელ, პეტრეს და ივანეს

ქიდაობა განუტრახა.

სურდათ შთი ვეჟაკობა

მთელ ქვეყანას დაენახა.

ხალხს მოუხმეს და დანიშნეს

დროც, ადგილიც შესაფერი,

ერთი სიტყვით ქიდაობას

აღარ აკლდა არაფერი.

ქიდაობის კანონ-წყისი

სხვა და სხვა და მრავალი,

და იმათაც ხალხს აუწყეს

(მოიხადეს თვისი ვალი),

* დანამდვილებით ვერ გავიგე მისი გარდაცვალების
დღე.

რომ მათ შორის ის იქნება
 დაცემული, დაძლეული,
 ვინაც ზეცას დაინახავს
 ძირს პირაღმა წაქცეული;

ესე იგი, კილაობა
 აირჩიეს მათ ფრანგული.

პეტრე არის ლონიერი,
 ლონით უნდა გამარჯვება,
 ივანეს კი მაგიერად
 უფრო ხერხი ემარჯვება,

მაგრამ ჯერ კი არ ვინ იცის,
 ვინ ვის დასცემს, ვინ ვის დასლევს,
 ზოგს ხერხი სწამს, და ზოგი კი
 მნიშვნელობას ღონეს აძლევს.

ჰა, გამოჩნდენ მოედანზე
 საკიდაოთ მოკაზმული,
 (გამოურკვევ მოლოდინით
 აუფგერდა ყველას გული),

ჩაუბრინეს მსწრაფლ ერთმანეთს,
 წაუტაცეს მარდათ ხელი,
 ამ დროს უცებ ივანე შორს
 გადაუხტა როგორც შველი;

პეტრე ცდილობს ხელში იგდოს,
 ლონით მიწას დაანარცხოს,
 ივანე კი სხვა ხერხს ხმარობს,
 სხვაფერ უნდა დაამარცხოს.

ი. სხნარულიძე.

პაჭრის მწუხრი

(წერილი ველისციხიდან)

ჰა, იხსნება დარღანელი?
 ბარემ გამოშქერით ყელი!
 დიდი ფულის მოგებასა
 ამ სამ თვეში ნალდათ ველი.
 გაიხსნება დარღანელი?
 მაშინ შაბ-გოგიორდი მოვა?!
 და ჩემს ძვირფას ტურფა „იმედს“
 დაუდგება ქირთა თოვა!
 მაშ იხსნება დარღანელი?
 თოლ, რა გინდათ, კოხბაწ ყენა!
 მე რომ გლტებებს ტყავი ვაძრო,
 ეს რათა გშურთ „ახარ“ თქვენა?!
 გაიხსნება დარღანელი?
 ბას ესელ ინჩ სატანაემ!
 ჯერ მინამდის ჯიბეს ვიტენ,
 შემდეგ ვნახოთ, ეტელ ნაემ!
 გაიხსნება დარღანელი?
 ვერ მოგართვით, სტყუით, სტყუით!
 თქვენზე უფრო შორს მჭვრეტია
 „ახმას“ ზურაბ თავის კუთით!

ხელიკი.

მოგზაარის სიმღერა

(ბახმაროს)

პირველად გნახე ბახმაროვ,
უღმერო მალალ მთისაო,
ნაძეგებით შემოზღუდულო,
ბაღნარო სამოთხისაო.

ვისაც სისუსტე აწუხებს
შენსკენ იზამენ პირსაო
და შენით განიკურნავენ
სნეულებას და ქირსაო.

მაგრამ ამოდენ ქებასთან
თანაც ცუდი ზნე გჭირსაო,
რისთვისაც ბევრი განიციღს
უზომო გასაქირსაო.

ჯანი რომ მომე ვეფხვისა,
მდა რომ მომე მგლისაო—
სულ ორ კვირაში შეეჭამე
სამყოფი მთელი წლისაო!

რით დაეფასო ამაგი
მე ისეთ მასპინძლისაო,
რომელიც გადამხდელია
უზომო სასყიდლისაო.

სულ აქ გავფანტე ქონება
სოფლისა, ქალაქისაო,
შემომელია ქანქარი,
გამომეცალა ქისაო.

ეგ დარდი შემომსუბუქოს
ისეთს ვის ენახე, ვისაო:
თხოვნით არაფერ მომხდავს,
ძალით— მომტყენ ცხვირსაო.

მაგრამ, შენ, ჩემო ბახმაროვ,
სამოთხეც ორი თვისაო,
ათ დღეში ჩემსა ბედაურს
დავადგამ უნაფიერსაო.

და თუ მშვიდობით ჩავედი
ჩემს ქვეყანაში— ძირსაო,
ყოველ ზაფხულში გინატრებ,
მაინც არ გტყუვი ძვირსაო.

გურიანთელი.

პანკეთის სპენ

რაც თელავი არ მენახა
იქნებოდა ხუთი წელი,
წასვლა ბევრჯერ დაეპირე
ვერ იქნა და ვერ წაველი.

და როდესაც ჩემს სამშობლოს
ღმერთმა რკინის გზა აღირსა
წაველ, მაგრამ შენი მტერი,
მე რომ შევეყარე ქირსა.

ვიძახდი: რკინის გზითა
წასვლას რალა შეედრება,
და გზის ფული დლიიქნისა
ნახევარიც არ დაჯდება.

ესეც არ ვსტკებთ, დლიიქნით
გზას მთელი დღე ვუნდებოდი;
მატარებლით კი ვფიქრე,
შინ სამ საათს გაგზნდებოდი.

მაგრამ დახე ბედისწერას
გამიცრუვდა იმედები,
რის სიჩქარე, სითაფე,
რას მივდებ-მოვდებნი?

ბილეთისთვის უმეტ-ნაკლოთ
ხუთი მანეთი დამიჯდა,
(დლიიქანი როგორც მახსოვს
ოთხზედაც ნაკლები ღირდა).

ამასაც ჯანი გავარდეს!
„პოზღლი“ რეაზე გავიდა.
სინამ „იორს“ მივადწვევდი
ცხრამეტჯერ პური მომშიგდა...

ჩაღაუბანს კონდუქტორმა
დაიკვირა: „ზავალიო“,
აიკიდეთ თქვენი ბარგი,
ცოტა გზა სავალიო...“

მთელი დღისა მოკრუნჩხული
ავდექ ავიშაღე წელში,
რაცა მქონდა ავიკიდე,
ზოგიც დავიკირე ხელში.



თელავის სადგურზე მოველ,
თელავს ძლივს მოვკარი თვალი,
ვთქვი: ერი ჰა... თელავამდე
კიდევ ბევრია სავალი!

მაგრამ ვთქვი, თუ ათ შაურსა
გამომართმევს * ფიტიონი*,
ფეხით რიღასთვის ვიწვავლო,
წავალ როგორც ვაჟ-ბატონი.

ხუთი მანეთი მომთხოვა!!!
აღარც ფეხში მქონდა ჯანი.
მივეცი... ჩვენ რკინის გზას სჯობს
„ნიკრიკიქას“ დილიყინი.

მეხი.

როკოკო.

ჩ ხ ა რ ი

(გამოცანა)

ჩხარში სამი გვამია,
სამი „ბურჯი“ ტილი,
სამი დიდი წურბელია
სოფლის გამატილი.

და ეს წუწკი პირები
ამ უკუღმართ დროშია,
ჭკბენენ ყველას, ვიდრემდის
არ გადუგდო გროშია.

სისხლსა სწოვენ უბედურთ
და თვითონ სუქდებიან;
საწყალი ხალხის ზურგზე
პარალესა მდერიან.

ხილო ერთი მათგანი
ვით ცნობილი ვექილი,
როგორც მჩხავნა კატა
გაქნილ-გამოქექილი,

მას სოფლის გაპირვება,
უჩანს ვითა სიმღერა;
ნაცად კაცს ეძახიან,
ვინაც თვით ხალხს უმტერა...

სოფლისა პარლამენტში
ჰყეფს ვითარცა ფინია,
მასაც ნებას სხვის ზურგზე
რომ გამართოს ლხინია!

ზესტაფონში შექმნეს მშენებელი
საქმენი საგმირონო მშენებელი
შუბლზე მთლად წარისოცა
ნათელი და მირონი.

მაგრამ დახეთ, დრო მოდის,
რაც მათ გადაარჯულებს,
როცა გაუშინჯავენ
თეთრ კბილებს და შავ გულებს,

და მათზე სამართალი
გადიქცევა წყევთ,
გადიდდება ცოდვები,
და თავზე დაემსხვრევათ.

დ ე ვ ე შ ე ზ ი

მანბრძო. ადგილობრივ სამკითხველოს ინტე-
ლიგენციამ ბოიკოტი დაარტყა. ამის გამო და თა-
ნახმად ქართული ანდაზისა: „უპატრონო ეკლესიას;
ეშმაკები ჰპატრონობენ.“ სამკითხველოს აქაური ბა-
რიშნები დაეუფლენ.

ძირული. ძირულის სამკითხველოში ხახინად-
რად „სოლომონ ბრძენი“ აღმოჩნდა. როდესაც
მას ფულუების ანგარიში მოსთხოვეს, იძრო ხანჯალი
და მოინდომა სამკითხველოს გამგის შუაზე გაჭრა.

სოფ. აჭარა. ადგილობრივმა საკრიტიკო ბანკ-
მა უკვე დაგზავნა ყველა ფრონტებზე მიძებრები,
რომელიც ყოფილ საქმის მწარმოებელს ბნ ხარო-
შვილს ეძებენ.

ფ ე ს ტ ა

ძირულელს. თქვენი ლექსი იმდენათ მოიკოტლებს,
რომ იმისი ფეხის ვაშისწორება ყოველად შეუძლებელია. აგ-
რეთვე ბრალდებები ბევრია, საბუთები არც ერთი. არ და-
ნიტდება.

არამვირი. დროშას. თქვენი გამოკვლევით სიტყვა „არ-
მავირი“ ორი სიტყვისაგან წარმომდგარა. „არმა“ ყოფილა
ცოლი და „ვირი“ კი ქმარი. ასე თუ გაცხევით მთელი ქვე-
ყანა „არამვირი“ იქნება. ყოველ შემთხვევაში თქვენი გა-
მოკვლევა უტყუარი საბუთია ამგვარი განმარტებისა.


ახალ აგენტს. თქვენ მღიერ ახვიადბთ თქვენი სოფ-
ლის მნიშვნელობას. დეპუტები უნდა იყოს მოკლე მკაფიო
და ქალაქის ერთ მხარეზე დაწერილი.



ო. ი. შლინტ -

10.
9

სანოვანე თალავუი.



ო. ი. შლინტ -
შემა -

„გაგათა“ მოღვანოვანე თალავუი.